ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი სუთშაბათი 7 ივნისი № 130 (17475) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

კრიტიკის იარაღით

რაც უფრო ცოტა დრო რჩება მეათე ხუთწლედის დამთავრებამდე, მით უფრო ნათლად იგრძნობა თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობა იმისათვის, რაც დღემდე გავაკეთეთ და რაც კიდევ უნდა გავაკეთოთ...

ასე იწყება ბევრი წერილი, რომლებსაც „კომუნისტის“ რედაქცია ამ დღეებში ადგილებიდან იღებს. მათში გამოთქმულია ის საერთო კეთილი სურვილი, რომ ყოველივე გაუთვალისწინებლის მოგვარება, წინსვლის ახალი რეზერვების ამოქმედება, თითოეული შრომითი კოლექტივის მიერ ეკონომიისა და ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულება ყველაზე საუკეთესო შეხვედრა იქნება ჩვენი პარტიის მომავალი, XXVI ყრილობისათვის.

მაგრამ როგორ მივაღწიოთ ყველგან სასურველ დონეს? რა იარაღი გვაქვს იმისათვის, რომ დროზე ვასწორებდეთ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს? წერილების ავტორები სამართლიანად მიუთითებენ, რომ ასეთი იარაღია პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, რომელსაც მუდამ და ყოველ ნაბიჯზე მარჯვედ, „აბედულად უნდა ვიყენებდეთ.

დიდმა ლენინმა ჩვენს პარტიას უანდერძა ყოველმხრივ განავითაროს კრიტიკა და თვითკრიტიკა, ოდნავადაც არ შეასუსტოს პარტიული დისციპლინა. ეს ბრძნული დანაბარები პრაქტიკულად ხორციელდება ჩვენი საზოგადოების მრავალფეროვან ცხოვრებაში.

სწორედ „ანსაღი, უალრესად გაბედული „კრიტიკისა და თვითკრიტიკის მომარჯვებით შეძლეს საქართველოს კომპარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა თანამიმდევრული და ეფექტიანი ბრძოლა გაეჩაღებინათ ნეგატიური მოვლენებით მოწამლული ატმოსფეროს გასაწმენდად, ჩვენი შრომისა და ცხოვრების ყველა უბანზე მაღალი მომთხოვნელობის ვითარების შესაქმნელად, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმები და აქტივის კრებები, მათი გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობა შესანიშნავი ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება გაბედულად გამოვიყენოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, თუ როგორ კეთილნაყოფიერია პარტიის ამ ნაცადი მეთოდის პრაქტიკული კვალი.

ეს კვალი მთელი სიცხადით დაჩნდა რესპუბლიკის ყველა რეგიონის შრომითი კოლექტივების ცხოვრებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პარტიის ბევრმა საქალაქო და რაიონულმა კომიტეტმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ კრიტიკული აზრის განხორციელების მდიდარი და სახარგებლო გამოცდილება შეიძინა. ამ მხრივ მაგალითები საძებარი როდია. მარტო რუსთაველთა ვაქაცური მოწოდებას — არც ერთი უდისციპლინო და ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით! — მთელ რესპუბლიკაში საქმიანი გამოძახილი მოჰყვა.

პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც თავიანთ მოღვაწეობას საფუძვლად დაუდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ტაბმოვის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის მდგომარეობის შესახებ“, ქმნიან ნიადაგს, რომ ადამიანები თავისუფლად, ლაღად მსჯელობდნენ ცხოვრების მოწიფებულ პრობლემებზე, გაბედულად და გულღიად გამოთქვამდნენ კრიტიკულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს.

როგორც ცნობილია, „კრიტიკული შენიშვნების ხიუხვი სრულიადაც არ მოასუსტებს საქმის ცუდ ვითარებას. „სწორედ პირიქით არის, — ამბობს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — რაც უფრო მეტია „ჯანსაღი, საჯარო კრიტიკა, მით უკეთ მიდის საქმე“.

მაგრამ ყოველი კრიტიკული აზრი, რა კარგადაც და რა ხმამაღლადაც უნდა ითქვას, ჰაერში გაფანტული მტვერივით იქნება, თუ მას მზრუნველი არ გამოუჩნდა, თუ დროული და სახარგებლო პრაქტიკული საქმე არ მოჰყვა.

მაშ, რა არის ამისათვის საჭირო? თავიდათავი ის არის, რომ ყველგან და ყველა ნაბიჯზე უფრო აქტიურად უმჯობესდნენ მხარს თითოეულ სამართლიან კრიტიკულ შენიშვნას, თითოეულ გონივრულ წინადადებას. პარტიის თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის საქალაქო, მახარაძის, აბაშის, ბოლნისის რაიონულმა და სხვა პარტიულმა კომიტეტებმა ბევრი ახალი ქმედითი ფორმა შეიმუშავეს იმისათვის, რომ უყურადღებოდ არ დარჩეს არც ერთი კრიტიკული გაფრთქვამი. თითქმის ყველგან უკვე წესად იქცა, რომ ხაანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები ადგილსშივ ალრიცხონ და სწრაფად მიიღონ ზომები, ხოლო ის შენიშვნები, რომელთა განხორციელება მათ კომპეტენციას სცილდება, რეგიონებისათვის სათანადო ორგანიზაციებსა და უწყებებს გადაუგზავნონ. ბევრგან საინტერესო სემინარები, საინსტრუქციო თათბირები და კონფერენციები იმართება ჩვენი საზოგადოების მთავარი მამოძრავებელი ძალის — კრიტიკისა და თვითკრიტიკის, მუშაობის გაუმჯობესების, ნაკლოვანებათა გამოსწორების ამ უბადლო მეთოდის არსის, მისი ეფექტიანად გამოყენების თაობაზე. ამ თემას სპეციალური მეცადინეობები ეძღვნება პირველად და საამჭრო პარტიული ორგანიზაციების მდივნების, პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელების, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის სკოლებში.

მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ ყველგან სათანადოდ ვერ აფასებენ „კრიტიკის როლს, ყველგან ვერ მოიცილეს თავიდან ის მცდარი აზრი, თითქოს ნაკლოვანებებზე აშკარა და „დაუფარავი ლაპარაკი „ჩრდილს აყენებდეს“ „კოლექტივისა თუ პიროვნების ღირსებას. ჩვენ ერთი და ორი მაგალითი როდი გვაქვს იმისა, როცა ასეთმა პოზიციამ ბოლოს ჩიხში მოაწყვდია „კოლექტივიც და ხელმძღვანელიც, ხოლო ხაქმე, რომ იტყვიან, ჩავარდა, დაგვიანებულ ღონისძიებებს კი საჭირო შედეგი არ მოჰყვა.

ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, რომ ცხოვრების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად პარტიულ ორგანიზაციებში, ყველა შრომითს „კოლექტივში შეიქმნას „კოლექტიური ძიების, აზრის თავისუფალი გაზიარების, ხაჯარო კრიტიკის ატმოსფერო. ასეთი ატმოსფეროს შექმნა „ი უპირველესად შრომითი „კოლექტივების ხელმძღვანელებზე არის დამოკიდებული. სწორედ იმ თვისებებში, რომ გულდასმით მოსმენოს „და პრაქტიკულ მოღვაწეობაში გამოიყენოს კრიტიკული შენიშვნები, ჩანს ხელმძღვანელის პარტიულობის სიღრმე, მასებთან მუშაობის უნარი.

როცა მუშაკს არ ესმის ეს, იგი „ყოყოჩდება, თავი ისე წარმოუდგენია, თითქ ო ს ყველაფრის უფლება ჰქონდეს, ჰგონია არასდროს და არაფერს მოჰკითხ ა ვ ე ნ. სწორედ ასე დაემართა ზოგიერთი ჩვენი რესპუბლიკური ორგანიზაციისა და უწყების ხელმძღვანელს, რომელთა შესახებაც წერდა „კომუნისტი“ სტატიაში — „თუ ხელმძღვანელის სავარძელში ზიხარ...“.

ბევრი ჩვენი რესპუბლიკური სამინისტროსა და უწყების პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის გაცნობამ თვალშისაცემად წარმოაჩინა ერთი მეტად სავალალო ტენდენცია — მიაჩუმათონ ნაკლოვანებანი, იბაჟიბუქონ მცირეოდენ წარმატებათა გამო, ერთმანეთს გუნდრუკი უკმეონ.

უკონტროლობის, უყაირათობის ბევრ ფაქტს შეხვდებით რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემაში. მარტო შარშან სამინისტრომ 12,4 ათასი ტონა პირობითი სათბობი და 7,8 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია გადახარჯა. განა ასე მოხდებოდა, რომ სამინისტროს კომუნისტებს „დრეკე კრიტიკულად და თვითკრიტიკულად შეეფასებინათ მდგომარეობა?!

დღეს „კომუნისტის“ მეორე გვერდზე ქვეყნდება გაზეთ „პრავდის“ სტატია „ნდობაც და მოთხოვნელობაც“, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებიდან მოყვანილი ფაქტები ერთხელ კიდევ დაბეჯითებით მოწმობს საქმისადმი, კადრებისადმი პრინციპული, კრიტიკული დამოკიდებულების კეთილშობილურ მიზანს.

ნაკლოვანებებისადმი მებრძოლური შეურიგებლობა კომუნისტის თვისებაა, ფისთვის ერთ-ერთი საწესდებო მოთხოვნაა. პარტიის წევრში კოლექტივის სხვა წევრები ხედავენ და აფასებენ პრინციპულ პოლიტიკურ მებრძოლს, რომელიც აქტიურად გამოდის ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ამუხრუჭებს ჩვენს წინსვლას.

მაგრამ რა პრინციპზე, რა გაბედულებაზე შეიძლება ლაპარაკი გუდაუთის რაიონის სოფელ კალდახვარის კოლმეურნეობის ხელმძღვანელებთან (გამგეობის თავმჯდომარე ვ. ზარანდია, პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ი. შარმატავა), რომლებიც ასე მსჯელობენ: მართალია, ჩვენთან ყველა დარგი წამგებიანია იმის გამო, რომ ხალხი სამუშაოდ სხვაგან გაგვიპობს, მაგრამ მათ წინააღმდეგ რაღა ჩვენ უნდა მივმართოთ მკაცრ ღონისძიებებს, როცა წინათ წლების მანძილზე ისინი არავის მოუმდურებიაო.

სწორედ ასეთების მისამართით თქვა ამ ორი კვირის წინათ გამართულ ამიერკავკასიის რკინიგზის აქტივის კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ: „ზოგიერთ ხელმძღვანელს მხოლოდ სურს მოგვაჩვენოს, თითქოს ებრძოდეს მგზავრთა გადაყვანაში არსებულ ცუდ მდგომარეობას, სინამდვილეში კი თითსაც არ ანძრევს ამისათვის. ასეთ ხელმძღვანელებს, ეტყობა, ჰგონიათ: ეს საქმე დიდი ხანია ჩაშლილია, ძალიან ბევრი ჭუჭყი დაგროვდა, რა ძალა მადგია, მეც გამსვრიან. სკკობს თავს შორს დავიჭერო. მაგრამ ასეთი მსჯელობა სრულიად შეუფერებელია კომუნისტისათვის. ჩვენ სოციალურ პასიურობას რიგითს საბჭოთა მოქალაქესაც კი ვერ ვაპატიებთ, რომელიც თავის ირგვლივ უწესრიგობასა და დარღვევებს ხედავს და ლაჩრულად არიდებს თვალს. მით უმეტეს, ვერ ვაპატიებთ ამას კომუნისტს ხელმძღვანელს“.

ახლა, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმისათვის ვემზადებთ, რომელიც კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხი უნდა განიხილოს, კომუნისტები, რიგითი მშრომელები აქტიურად გამოთქვამენ თავიანთ აზრს, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენს დროში ხელმძღვანელი მუშაკი, რომელსაც განსაკუთრებით უნდა ამშვენებდეს კრიტიკისადმი დამოკიდებულების კულტურა.

„ტყიბულქვანახშირის“ ლენინის სახელობის შახტის კომუნისტებმა ს. ბირკაიამ, თ. ნესტერენკომ, ე. გაბადაძემ და სხვებმა პარტიულ კრებაზე არაერთხელ გამოთქვეს წუხილი იმის გამო, რომ სანგრევებში არასტანდარტული, მსხვილი და გრძელი ხის ბიგები შეაქვთ, რაც აძნელებს ჭერის გამაგრების ისედაც რთულ და შრომატევად პროცესს, იწვევს ხის მახალის გადახარჯვას. მათ მკაცრად გააკრიტიკეს გაერთიანება „საქნახშირის“ ტექნიკური მოპარაგების სამსახური, მაგრამ ამ სამსახურის მუშაკებმა შეახტი კომუნისტების კრიტიკა, როგორც იტყვიან, ერთ ყურში შეუშვეს, მეორედან კი გაუშვეს.

კრიტიკის უგულებელყოფის ან მისდამი ფორმალური დამოკიდებულების ფაქტები სხვაგანაც არის. ამასთან პარტიისა და სახელმწიფოსათვის იმაზე მავნე არა არის რა, როგორც იმის ცდები, რომ ფარული თუ აშკარა ფორმით ჩაახშონ კრიტიკა, ზეგავლენა მოახდინონ იმათზე, ვინც ნაკლოვანებებს ამხილებს. „კრიტიკისათვის დევნა აკრძალულია“ — ნათქვამია ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში, და ვინც ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი კანონის ამ მოთხოვნას დაარღვევს, სათანადოდაც დაისჯება.

რა თქმა უნდა, როგორც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს, „კრიტიკა შოკოლადი როდია, რომ გიყვარდეს. მარტო ქარაფშუტა, ფუჭი ადამიანს შეუძლია მოისმინოს საყვედურები, გაიცინოს და მყისვე დაივიწყოს ყველაფერი“. მაგრამ კრიტიკას მეკავშეულად განცდამ უნდა გამოიწვიოს შემარცხვენა, უკეთ მუშაობის წადილი.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარებისათვის დიდი როლი უნდა შეასრულონ ჩვენმა რესპუბლიკურმა, საოლქო, საქალაქო, რაიონულმა, მრავალტირაჟიანმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ, მთელმა იდეოლოგიურმა საშუალებებმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ ხაზგასმით არის აღნიშნული კრიტიკისა და თვითკრიტიკის დიდმნიშვნელოვანი როლი. მასში ნათქვამია, რომ პარტიული კომიტეტები, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოები, სამინისტროები და უწყებები ოპერატიულად, საქმიანად უნდა ეხმაურებოდნენ მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებს, პრესის გამოსვლებს, პრინციპულად განიხილავდნენ მასალებს, რომლებშიც აღძრულია ეკონომიკური მშენებლობის, კომუნისტური აღზრდის, საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური საკითხები.

ჯანსაღი, ობიექტური, კონსტრუქციული კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება მუშაობის ლენინური სტილის განუყოფელი ნიშან-თვისებაა.

საბჭოთა მეცნიერების ძლევამოსილი წინსვლა

თბილისში მიმდინარეობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების მეცნიერული საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს 36-ე გამსვლელი სესია.

სესიის მონაწილენი იხილავენ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების წვლილის შემდგომი გადიდების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, იმ დებულებებისა და დასკვნების მიხედვით, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებიდან და გამოსვლებიდან.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მეცნიერთა შემოქმედებითი თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცება და განვითარება, — ხაზი გაუსვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ა. **ალექსანდროვმა**, — მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავე მკვლევართა მეცადინეობის გაერთიანება იმის უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომ წარმატებით შესრულდეს საბჭოთა მეცნიერების შემდგომი განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების პროგრამა, რომელიც პარტიამ დასახა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი **ი. ოვჩინიკოვი** თავის მოხსენებაში შეეხო ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის განვითარების ძირითად ტენდენციებსა და ამ დარგში რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების კვლევის ამოცანებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში წარმატებით ხორციელდება მნიშვნელოვანი გამოკვლევები მოლეკულური ბიოლოგიის, ბიოფიზიკისა და ცხოველფიკაციისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების ამოცანებს. ხუთწლედის ამოცანებისადმი ამგვარ კომპლექსურ მიდგომას სათანადო შედეგიც მოჰყვა: მიმდინარე წლის 5 თვის მონაცემებით, საწარმოში არ ყოფილ არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენის არც ერთი შემთხვევა!

მოვიყვანთ მეორე მაგალითს. წარმოების ინტენსიფიკაციის კურსს თანამიმდევრულად იცავენ თბილისის კერამიკულ კომბინატში. კომბინატის მუშაობის მაღალ ხარისხზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აქ წარმოების რეკონსტრუქცია ისე დამთავრდა, რომ ხუთწლედის საგეგმო დავალებათა შესრულება არ შეფერხებულა.

მიაქციეთ ყურადღება ამ ციფრებს: 5 თვის მანძილზე წარმოების მატებამ 11,1 პროცენტს, რეალიზაციისამ — 25,8, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდამ 10,5 პროცენტს მიაღწია. ამ უკანასკნელის ხარჯზე მიღებული პროდუქციის მთელი ნამატი.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებად აქ სამართლიანად მიიჩნევენ პროფესიათა შეთავსებას. მუშათა აბსოლუტური უმეტესობა რამდენიმე პროფესიას ფლობს. დღეისათვის ხარისხის ნიშანი აქვს კერამიკული კომბინატის 11 დასახელების ნაწარმს. მათ შორის ძირითად პროდუქციას — მოსაპირკეთებელ ფილას — საპატიო ხუთკუთხედი ასლახან მიენიჭა. საგულისხმოა, რომ ხარისხის ნიშნით ამგვარ პროდუქციას კავშირში მხოლოდ 4 საწარმო უშვებს. რესპუბლიკაში ახლა ცოტაა ისეთი საწარმო, რიტმულობის ასეთი კარგი კოეფიციენტი რომ ჰქონდეს. ამას კი შრომის მეცნიერული ორგანიზაცია განაპირობებს. მუშებსაც და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალსაც დასაბუთებული სამოქმედო პროგრამა აქვთ. ლვოვეთის მაგალითისამებრ თითოეულ ინჟინერს აქვს შემოქმედებითი მასპორტი, რითაც „ფალსაჩრჩილ „გამოიკვეთა მათი წვლილი კომბინატის საერთო მიღწევაში.

წარმოების ინტენსიფიკაციის კურსი, ნაკლები მუშახელით მეტი პროდუქციის წარმოება მუშაობის ნორმად იქცა თბილისის საშენ მასალათა კომბინატში, ქუთაისისა და თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებებში, პატარძის სახელობის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხანაში.

5 თვის მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობის შედეგად მიღებული ზარალი 3-ჯერ შემცირდა საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში, რაც უთუოდ მისასალმებელი ტენდენციაა. წარმოებისა და რეალიზაციის საგეგმო დავალების შესრულებას ამჟამად უკეთ გაართვეს თავი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმაც.

საინტერესოა თვალი გადავაგლოთ, როგორ იცვლება ჩამორჩენილ საწარმოთა დინამიკა ხუთწლედის განვლილი პერიოდის პირველი ხუთი თვის მანძილზე. ამ თვალსაზრისით ყველაზე უხეირო შედეგები გვქონდა 1976 წლის 5 თვეში. იმ დროისათვის წარმოების გეგმა ვერ შეასრულა 109, ხოლო რეალიზაციისა — 113 საწარმომ. ამ მაჩვენებელთა შესრულებას შესაბამისად 19 და 26 მილიონი მანეთი დაკლდა. ანალიზი იმასაც გვიჩვენებს, რომ წლის საუკეთესო სტარტი ავიღეთ 1977 წლის 5 თვის მანძილზე. მაშინ წარმოების გეგმის შესრულებას თავი ვერ გაართვა 18, ხოლო რეალიზაციისას — 28 საწარმომ.

მიმდინარე წლის 5 თვის მონაცემებით, წარმოების გეგმა 39, რეალიზაციისა კი 48 საწარმომ ვერ შეასრულა. მათ გეგმების შესრულებას შესაბამისად 11.905 და 19.458 ათასი მანეთი დააკლეს.

რაზე მეტყველებს ეს მონაცემები? იმაზე, რომ ბოლო დროს რამდენადმე შეუსუსტდა საგეგმო და საწარმოო დისციპლინა. კამპანიურობას, უყურადღებოდ მოდუნებას დისციპლინის საქმეში არასოდეს მოჰყოლია კარგი შედეგი.

წარმოების საგეგმო დავალებათა შესრულებას 5 თვის მანძილზე თავი ვერ გაართვა საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს 8 საწარმომ, გორის ბამბეულის კომბინატმა, საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელმა“, ზეესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ, შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტმა“ და სხვ.

ისიც უნდა ითქვას, რომ წარმოებისა და რეალიზაციის გეგმის შესრულება ბვითმიზანი როდია. წარმოების მიერ რეალიზაციის გეგმის შესრულება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი უნაკლო პროდუქციას უშვებს, რომ მომხმარებელს პრეტენზია აღარა აქვს. **სამწუხაროდ, რეალიზაციის გეგმა ხშირად ასორტიმენტის უგულებელყოფის ხარჯზე სრულდება, მომხმარებელი საწარმო კი ზოგჯერ იძულებულია ისეთ პროდუქციასაც დასჯერდეს, რომელიც მას არ მოსწონს (აბა, სად იშოვნის იგი ფემცვლელს, თუ მისი გამოშვება გეგმით სხვა საწარმოს არ ევალება), ამით კი ზარალობს ხარისხი, ქვეითდება ეფექტიანობა. ეს იწვევს აგრეთვე ისეთი ნაწარმის დიდი მარაგის დაგროვებას, რომელიც მომხმარებელს მოცემულ მომენტში არ სჭირდება.**

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპი კი გადაუდებლად მოითხოვს ისეთ მაჩვენებელთა გამოყენებას, რომლებიც უპასუხებენ მთავარ კითხვას: როგორ დავაკმაყოფილოთ საზოგადოებრივი მოთხოვნა უფრო სრულად, საჭირო ვადებში და რესურსების უმცირესი დანახარჯებით.

რუსეთის სამრეწველო საწარმოთა ერთ ნაწილში ფეხი მოიკიდა ერთმა ფრიად არასახარბიელო ტენდენციამ. სამრეწველო-საწარმოო პერსონალი ზრდასთან ერთად ამცირებენ წარმოების მოცულობას, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს. მუშაობის ამგვარი მანკიერი პრაქტიკა გრძელდება ახალდაბის ავეჯის ფაბრიკაში, ავჭალის სილიკატური საკედელ მასალების, საგარეჯოს საშენ მასალათა ქარხნებში, შორაპნის ქარხანა „ელექროელემენტში“, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელ ქარხანაში და სხვ.

ერთი სიტყვით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ყველა პირობა გვაქვს გაცილებით უკეთ მუშაობისა — წინსვლის რეზერვების ამოწურავზე ლაპარაკი უმართებულოც არის და უხერხულიც. **განვლილმა 5 თვემ, საერთოდ მეათე ხუთწლედის სამეურნეო პრაქტიკამ თვალნათლივ დაგვანახვა — არათუ მეურნეობის ღრმა შრეებს შეფარული ზრდის ინტენსიური წყაროები, ზოგჯერ ჩვენ თვალწინ მდებარე რეზერვებიც ხელუხლებელია.** საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აკი ხაზგასმით აღინიშნა იმის აუცილებლობა, რომ შინაგანი რეზერვების ძიებას საფუძვლად უნდა ედოს ეკონომიკის უმკაცრესი რეჟიმი, სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფა, სახელმწიფო, შრომის, საწარმოო, საგეგმო და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცება.

ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება მომჭიხრეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერების, წარმოების რეზერვების გამოყენების ეფექტიანობის რესპუბლიკური დათვალიერების მოწყობის შესახებ. ცხადია, ამ დათვალიერების უპირველესი მიზანია როგორც მიმდინარე წლის, ისე საერთოდ მეათე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა, სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატ ე ბ ი თ შესრულება. დათვალიერება ივნისიდან დაიწყო და წლის ბოლომდე გასტანს, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა ამთავითვე უნდა დაიჭიროს თადარიგი, **მომჭირნეობის რეჟიმი ყველგან უნდა იქცეს ჩვენი წინსვლის მძლავრ დამაჩქარებლად, მაღალხარისხოვანი შრომის უპირველეს ორიენტირად!**

უნდა გვახსოვდეს, რომ მართალია, რეზერვების შემჩნევას, მოკვლევას თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თუ ეს სამუშაო აქ დასრულდა, თუ ნახევარ გზაზე გავჩერდით, **თუ რეზერვი დავიგულეთ და მის ამოქმედებაზე, პრაქტიკულ რეალიზაციაზე ალარ ვიზრუნეთ, ასეთ შემთხვევაში ჩვენს ეკონომიკურ პოტენციალს არაფერი მიემატება.**

როგორც აღვნიშნეთ, კვარტალს, საერთოდ წლის ბოლო თვეებში საგეგმო დავალებათა დაძაბულობა მატულობს. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით „რომ ვთქვათ, თუ ვერ ვისწავლეთ უწინდელზე უკეთ მუშაობა, გეგმა უაღრესად დაძაბული აღმოჩნდება; ხოლო თუ ვისწავლეთ,—მივაღწევთ უფრო მეტსაც, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, შეეკმნით საჭირო მარაგსმეტს კიდევ უფრო სწრაფი წინსვლისათვის.

ჩვენ მოვალენი ვართ ვისწავლოთ უწინდელზე უკეთ მუშაობა. ამას მოითხოვს საქართველოს სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების ინტერესები, ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის სტრატეგია და ტაქტიკა.

ჩვენი ეკონომიკური მიმოხილვა

მომჭირნეობის სტრატეგია

● წლის პირველი 5 თვის შედეგები ●

ტენდენცია: სანაქებო, საკაუგოც

● რეზერვი ამოქმედებას ელის

ჩვენი გაზეთის მკითხველი ყოველი თვის დასაწყისში მოელის ახალ ინფორმაციას ინდუსტრიის მუშაკთა ნაღვაწის ავკარგიანობის შესახებ. სამეურნეო ცხოვრების მაჯისცემა თვიდან თვემდე რომ განუხრელად მატულობს, ეს სავსებით კანონზომიერია. წინსვლის კვალთაზე წარმოების მასშტაბიც იზრდება და საზრუნავიც.

თუ პირველი კვარტალის ბოლო თვის წილად კვარტალის მთელი წარმოების მოცულობის 36,2 პროცენტი მოდიოდა, მეორე კვარტალის ბოლო თვეში — ივნისში — ანალოგიური მაჩვენებელი 36,5 პროცენტს შეადგენს.

ვიდრე მიმდინარე წლის დარჩენილი პერიოდის ამოცანებზე ვიმსჯელებდეთ, თვალი გადავავლოთ გაგლილს, ამასთან 5 თვის მუშაობის შედეგები მეათე ხუთწლედის განვლილი წლების შესაბამის მაჩვენებლებს შეეფაროთ.

მიმდინარე წლის 5 თვეში რესპუბლიკის ინდუსტრიის მუშაკებმა 50 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს. წარმოების მატების ტემპი საგრძნობლად (1,3 პუნქტით) სჯარბობს 1976 წლის შესაბამის მაჩვენებელს, თუმცა ჩამორჩება 1977-1978 წლებში ამ დროისათვის მიღწეულ დონეს. **აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხუთწლედის განვლილი წლების პირველ ხუთ თვეში მრეწველობის მუშაკებს არასოდეს არ მიუღწევიათ შრომის ნაყოფიერების ზრდის ასეთი მაღალი დონისაკენ.**

ინდუსტრიის მუშაკებმა საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს საკუთრივ პროდუქციის ხარისხის სფეროში. სპეციო ხუთკუთხედთ უკვე 1770-ზე მეტი ნაწარმი გამოდის.

სამეურნეო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხუთწლედის საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულება განუყოფელად არის დაკავშირებული რეზერვების ძიების სწორ ორგანიზაციასთან.

წარმოების ზრდისა და ხარისხობრივი სრულყოფის რეზერვების გამოვლენისა და გამოყენების მდიდარი გამოცდილება დაგროვა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა. აქ გეგმების შესრულების ანალიზი ყოველთვის კონკრეტული, რეალური და კრიტიკული.

საწარმოში რეგულარულად ეწყობა წარმოების რეზერვების დათვალიერება. დათვალიერების ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ფორმაა საწარმოო თათბირები, რომლებიც სამეურნეო წარმატებათა შემოწმების ორგანოდ იქცა.

ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში სოციალისტურ შეჯიბრებაში მუშაობან ერთად აქტიურად არის ჩაბმული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალიც. ქარხნის ინჟინრები და ტექნოლოგები სულ უფრო მეტად გრძნობენ თავს ამ დიდი საქმის აქტიურ მონაწილეებად. დამახასიათებელია, რომ ამჟამად საწარმოში არ არის არც ერთი ინჟინერი, რომელსაც თუნდაც ერთი რაციონალიზატორული წინადადება არ ჰქონდეს.

მუშაკთა სტიმულირების მთელი მექანიზმი გახდა უფრო მოქნილი, ტევადი, უფრო მეტად შეესაბამება წარმოების ინტენსიფიკაციის ამოცანებს. ხელფასის ფონდი ეფექტიანად ანაწილებს ბონუსებს, ეხმარება ადამიანებს, ეხმარება ოჯახებს, ეხმარება ბავშვებს. ეს ფონდი

ნდობაც და მოთხოვნელობაც

პარტიული ცხოვრება: მუშაობის ლენინური სტილისათვის

უკვე კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილებანი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის, შემდეგ კი მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ეს დოკუმენტები კვლავინდებურად კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ყველა მხარეზე, ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცხოვრების პოზიტიურ ძვრებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნულ დადგენილებათა განხორციელებისათვის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ხელმძღვანელი კადრების აღზრდა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, კომუნისტური ზნეობის ნორმების მკაცრი დაცვის სულისკვეთებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მეცნიერების ძლევამოსილი წინსვლა

(დასასრული)

თა და მცენარეთა ბიოქიმიის დარგში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მეცნიერებმა შეასრულეს სამუშაოები ცხოველთა და მცენარეთა უჯრედების გენეტიკური აპარატის მოქმედების, ბიოლოგიური მოძრაობის ფიზიკა-ქიმიის, ბიოლოგიური მაკრომოლეკულების ფიზიკის პრობლემებზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებისა და რეგიონალური სამეცნიერო ცენტრების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის დარგში კვლევის განვითარებაში.

ყოველივე ეს აფერხებს ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის განვითარებას. ამავე დროს რესპუბლიკური მეცნიერებათა აკადემიები და რეგიონული ცენტრები ყოველთვის ეფექტიანად ვერ იყენებენ კვლევის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შინაგან რეზერვებს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული პოტენციალის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში ეფექტიანი მონაწილეობის და უახლოესი გეგმების შესახებ ილაპარაკა მისმა პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ე. ხარაძემ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია არის რესპუბლიკის ფუნდამენტურ სამეცნიერო გამოკვლევათა დიდი ცენტრი, რომელშიც წარმოდგენილია თანამედროვე მეცნიერების ბევრი დარგი. ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV კრების გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXV კრების გადაწყვეტილებებითა და სხვა პარტიული დოკუმენტებით, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებანი ეწევიან მნიშვნელოვან კვლევას საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთელი რიგი ტრადიციული და ახალი მიმართულებებით. უკანასკნელი წლების მანძილზე აკადემიური მეცნიერება უფრო დაუახლოვდა წარმოების, ეკონომიკის, სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს. განმტკიცდა შემოქმედებითი კავშირურთიერთობა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებთან.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **პ. ფედოსეევმა** თავისი მოხსენება მიუძღვნა სოციალისტურ ერთა განვითარებისა და დაახლოების თეორიული პრობლემების შემდგომ დამუშავებას.

ეროვნულ რესპუბლიკებში — ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, სოციალისტურ ერთა განვითარებისა და დაახლოების პრობლემების კვლევა შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას საჭიროებს. ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოგვარებული აკადემიის ინსტიტუტებისა და რესპუბლიკური უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებათმცოდნეთა შემოქმედებითი ერთობლივი მუშაობა.

გეგმაზომიერად და სისტემატიურად უნდა წარმართოს მუშაობა სსრ კავშირის გამოცდილების საფუძველზე ერთა და ეროვნული ურთიერთობის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების რეალიზაციის სხვადასხვა ასპექტის შესწავლისათვის საზოგადოებათმცოდნე მეცნიერებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ იმას, თუ რა გადამწყვეტ როლს ასრულებს კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა ქვეყნის ყველა ხალხის პროგრესში, გააუქონ, მომწიფებული სოციალიზმის პირობებში სოციალისტურ ერთა განვითარებისა და დაახლოების კანონზომიერებანი, საბჭოთა ხალხის შემდგომ განვითარებაში ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის დიალექტიკა, უნდა გაძლიერდეს ეროვნულ საკითხებზე ბურჟუაზიული და რევიზიონისტული კონცეფციების კრიტიკის არგუმენტირება და ოპერატიულობა, ამ დარგში მტრული ფალსიფიკაციების მხილება.

განხილულ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

6 ივნისს გამსვლელი სესიის მონაწილენი ეცნობოდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობას. (საქინფორმი).

საკავშირო ცნობა

მიფრინავს „მოლნია-3“

შორი სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაციის, „ორბიტის“ ქსელის პუნქტებში სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადაცემისა და საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით 1979 წლის 6 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს კავშირგაბმულობის მორიგი თანამგზავრი „მოლნია-3“.

თანამგზავრზე დადგმული სარეტრანსლაციო აპარატურა უზრუნველყოფს სისტემის მუშაობას ტელევიზიის სანტიმეტრიანი დიაპაზონით.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის აპოგეა ჩრდილოეთ ნახევარსფეროში არის 40769 კილომეტრი და პერიგეა 473 კილომეტრი სამხრეთ ნახევარსფეროში. თანამგზავრის გარშემოვლის პერიოდია 12 საათი და 15 წუთი. ორბიტის დახრილობა 62,5 გრადუსს შეადგენს.

„მოლნია--3“ თანამგზავრის საშუალებით კავშირის სეანსები მოეწყობა დასახული პროგრამის შესაბამისად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის უსასხვედრად

განვამტკიცოთ სოფლის მეურნეობა საშუალო რგოლის ხელმძღვანელი კადრებით

უკანასკნელ ხანს პარტიის გურჯაანის რაიკომი, ხელმძღვანელობს რა სკკპ XXV კრებისა და საქართველოს კომპარტიის XXV კრების გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXV კრების გადაწყვეტილებებითა და სხვა პარტიული დოკუმენტებით, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებანი ეწევიან მნიშვნელოვან კვლევას საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთელი რიგი ტრადიციული და ახალი მიმართულებებით. უკანასკნელი წლების მანძილზე აკადემიური მეცნიერება უფრო დაუახლოვდა წარმოების, ეკონომიკის, სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს. განმტკიცდა შემოქმედებითი კავშირურთიერთობა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებთან.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **პ. ფედოსეევმა** თავისი მოხსენება მიუძღვნა სოციალისტურ ერთა განვითარებისა და დაახლოების თეორიული პრობლემების შემდგომ დამუშავებას.

ეროვნულ რესპუბლიკებში — ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, სოციალისტურ ერთა განვითარებისა და დაახლოების პრობლემების კვლევა შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას საჭიროებს. ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოგვარებული აკადემიის ინსტიტუტებისა და რესპუბლიკური უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებათმცოდნეთა შემოქმედებითი ერთობლივი მუშაობა.

გეგმაზომიერად და სისტემატიურად უნდა წარმართოს მუშაობა სსრ კავშირის გამოცდილების საფუძველზე ერთა და ეროვნული ურთიერთობის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების რეალიზაციის სხვადასხვა ასპექტის შესწავლისათვის საზოგადოებათმცოდნე მეცნიერებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ იმას, თუ რა გადამწყვეტ როლს ასრულებს კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა ქვეყნის ყველა ხალხის პროგრესში, გააუქონ, მომწიფებული სოციალისტურ ერთა განვითარებისა და დაახლოების კანონზომიერებანი, საბჭოთა ხალხის შემდგომ განვითარებაში ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის დიალექტიკა, უნდა გაძლიერდეს ეროვნულ საკითხებზე ბურჟუაზიული და რევიზიონისტული კონცეფციების კრიტიკის არგუმენტირება და ოპერატიულობა, ამ დარგში მტრული ფალსიფიკაციების მხილება.

განხილულ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

6 ივნისს გამსვლელი სესიის მონაწილენი ეცნობოდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობას. (საქინფორმი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილი ესა თუ ის საკითხი.

მაგალითად, ეფექტიანად მოქმედებს ბევრი კომისია, რომელიც შექმნილია ცენტრალური კომიტეტის მაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილებასთან. ოლქკომებს შეიტყვეს, რომ გარდაბნის რაიონის მარტყოფის [illegible] ეფექტურ [illegible] ... ეფექტიანად [illegible] ... ეფექტიანად [illegible] ... ეფექტიანად

მეზიური აფხაზეთი დღეს და ხვალ

ალმშენებლობის პროგრამა

ერთი წელი შესრულდა, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ეს ისტორიული დოკუმენტი, თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ვ. ადლეიბამ, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებისათვის გახდა ყოველდღიური სამუშაო პროგრამა, ალმშენებლობის პროგრამა. კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ ისინი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას ჩვენი მხარის მრავალმხრივი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. ეს დადგენილება გამოხატავს აფხაზი ხალხის, მრავალეროვანი რესპუბლიკის ყველა მშრომელის მისწრაფებებს და მიზნად ისახავს აგრეთვე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას.

შესასრულებელ სამუშაოთა მნიშვნელობამ და სირთულემ მოითხოვა მათი ზუსტი კოორდინაცია, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესება. ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებული ამოცანები, განიხილა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მე-15 პლენუმმა (1978 წ.). პლენუმმა მიიღო ძირითად ორგანიზაციულ და მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა პერსპექტიული გეგმა.

შეიქმნა დადგენილების შესრულებისადმი, ყოველდღიური კონტროლის რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული შტაბები.

აფხაზეთის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დასახული პროგრამის შესრულების ორგანიზაციაში დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ სამუშაოთა მთელი კომპლექსისადმი ხელმძღვანელობისათვის შექმნილია შტაბი, რომელიც ყოველთვიურად თავის სხდომებზე, რომლებიც სოხუმში იმართება, იხილავს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობას.

პარტიისა და მთავრობის მიერ დადგენილების მიღების შემდეგ ბევრი პრაქტიკული ღონისძიება განხორციელდა. კერძოდ, აფხაზეთის სახალხო მეურნეობის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მიმდინარე წლის გეგმები შედგენილია იმ მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომლებიც გამომდინარეობენ ამ მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტიდან. გათვალისწინებულია სოხუმის ხელსაწყოსაშენებელი ქარხნის საწარმოო ფართობის გადიდება, მაღაროელთა და ენერგეტიკოსთა ქალაქის ტყვარჩელის მრეწველობის განვითარება.

ხორციელდება ღონისძიებანი ავტონომიური რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. ფართოვდება და რეკონსტრუირდება მოქმედი საწარმოები, იწყება ახალი ფაბრიკების მშენებლობა.

სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრომ და „საქთევზმრეწვმა“ დადებითად დადაწყვეტეს საკითხი აფხაზეთის თევზის გადამამუშავებელ საწარმოთა ტექნიკური განახლების შესახებ. ხორციელდება ღონისძიებანი აფხაზეთის საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ახალ სახეობათა ნაწარმის გამოშვებისათვის.

დადებითად წყდება ყველა საზოგადოებრივ ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთზიდვის გაუმჯობესების პრობლემა.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მიზნით შემუშავებული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღაში თერმული წყლების ბაზაზე 54 ჰექტარი ფართობის სასათბურე კომბინატების მშენებლობის შესახებ. ამ ზონაში დაიწყო მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე წელიწადში იქნება 8 მილიონი ბროილერი.

უკვე შეიქმნა და მოქმედებს აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მომდინარეობს აფხაზეთის ტელევიზიის გადაცემები, სოხუმში აპროექტებენ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახლს. დაიწყო ბეჭდვითი სიტყვის სახლის მშენებლობა. მიღებულია გადაწყვეტილება მრავალპროფილიანი 1000-ადგილიანი საავადმყოფოს კომპლექსის მშენებლობის შესახებ, რომლის დაპროექტება უკვე მიმდინარეობს. მალე შეგვარჩევთ აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის ახალი შენობის საკონკურსო პროექტს.

განხორციელებულია ქმედითი ღონისძიებანი კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების სფეროს, საბინაო მშენებლობის, ბუნების დაცვის, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის და ა. შ.

დაიწყო აფხაზურ ენაზე ახალი ჟურნალების — „აფხაზეთის ხელოვნებისა“ და „სკოლა და ცხოვრების“ გამოცემა. ავტონომიური რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სოხუმში ორი დამოუკიდებელი დრამატული თეატრის — აფხაზური და ქართული თეატრების შექმნა. სახელმწიფო ანსამბლების თანრიგშია გადაყვანილი მოცეკვავეთა ანსამბლი „შარატინი“.

ღღითიდღე დიდი ცვლილებები ხდება ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის ცხოვრების ყველა დარგში. და ამ წარმატებათა ფონზე ვერ შეკუჭრიგდებით სახელმწიფო დავალებების, პარტიისა და მთავრობის დადგენილებიდან გამომდინარე ღონისძიებათა შესრულებაში აქა-იქ შემჩნეულ ჩამორჩენას. პარტიის საოლქო კომიტეტი ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილების მოთხოვნათა მიხედვით იდეოლოგიური და ორგანიზაციორული მუშაობის დონის ამაღლებას, ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანათა დაწყვეტის უზრუნველყოფას. (საქინფორმი).

როცა აფხაზური მწერლობის ქრესტომათიას გაეცნობით, აღიქვამთ და შეითვისებთ, ისეთი გრძნობა დაგეუფლებთ, თითქოს შობლიურ ლიტერატურას კითხულობდეთ, „საკუთარ ბაღში“ ყოფილაყოთ და მის ნაყოფს იწევდეთ... ეს სიტყვები დავესესხე აფხაზ პოეტს ალექსი ჯონუას მისავე ლექსიდან „აფხაზური სიმღერა თბილისზე“.

ყოველი ხალხის ხასიათი და ინტელექტუალური დონე არა მარტო ორიგინალურ შემოქმედებაში მჟღავნდება, არამედ მშობლიურ ენაზე თარგმნილ ლიტერატურაშიც. ეს უკანასკნელი, როგორც ხალხთა ურთიერთგაცნობისა და სულიერი დაკავშირების ერთ-ერთი ძლიერი საშუალება, ამასთანავე იმ ხალხის სიყვარულისა და დაფასების უტყუარი გამოხატულებაა, რომლის მწერლობასაც ვთარგმნით.

სწორედ ქართველი ერის ინტერნაციონალური ბუნებით უნდა აიხსნას ის დიდი ინტერესი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე იჩენდა იგი დიდი თუ მცირერიცხოვანი ერების მწერლობისა და მეცნიერული შრომებისადმი. ოდითგანვე ჩამოყალიბებული საქვეყნოდ განთქმული ქართული თარგმნელობითი სკოლები აზიარებდნენ ჩვენს ხალხს ცივილიზებული ხალხების სულიერ კულტურას, ისტორიას, ხასიათს, ყოფას და პატივისცემით განმსჭვალავდნენ მათდამი. ჩვენს ქვეყანაში, სადაც ასე ძმურად არიან შეფუღლებული ერთმანეთთან საბჭოთა ხალხები, თითარგმნელობითი საქმე სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დონეზეა აყვანილი. თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „აფხაზური ლიტერატურის“ (ქრესტომათია) გამოცემა (სარედაქციო კოლეგია: გრიგოლ აბაშიძე, ოთარ ბაქანიძე, ივანე თარბა, პროკლე კეკელიძე, — მთავარი რედაქტორი), რომელიც გათვალისწინებულია სტუდენტი ფილოლოგების სახელმძღვანელოდ და მკითხველთა ფართო წრისათვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენაა (შემდგენლები ხ. ბღაჟბა, გ. გუბლია, ბ. გურგულია, ი. ევგენიძე, ს. ზუხბა, პ. კეკელიძე, ვ. მინაშვილი, შ. სალაყაია, ო. ჭურღულია).

აფხაზური მწერლობის ქრესტომათია, უპირველეს ყოვლისა, კიდევ ერთი აღიარება და დაფასებაა ჩვენი მოძმე ნიჭიერი აფხაზი ხალხის შემოქმედებით ძალებისა, ორიგინალური აფხაზური მწერლობისა. იგი ქართველი და აფხაზი ხალხების სულიერი ერთიანობისა და ძმური სიყვარულის ცოცხალსტურებელი ფაქტი და ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელი ძალის ნათელი გამოხატულებაა.

მხატვრული თვალსაზრისით ჩვენში შემოიჭრა კიდევ ერთი ორიგინალური, თავისთავადი ლიტერატურული ნაკადი, რომელიც თავისი ნატიფი ბუნებით, მდიდარი პოეტური სახეებით, მეტაფორული აზროვნებით და ექსპრესიულობით ასე ახლოს დგას მდიდარ ქართულ მწერლობასთან, თვით ქართველი ხალხის სულთან და, უეჭველია, მისი ესთეტიკური გაცდა აგვამაღლებს, ახალი თვალით დაგვანახვებს საქართველოს ედემს — აფხაზეთს:

არსად არის მზისქვეშეთს,
შენ რომ ზღვა გაქვს, ისეთი!
ოდით მოსდგამს დიდება
შენს ხალხს — მცირე
რიცხოვანს —
ლეგენდებად, მითებად,
ზღაპრებად რომ იცხოვრა!

ვისაც უნდა ნახვა მზის,
ნახოს მიწა აფხაზის —
ფრთა ფრთამრავალ არწივის —
საქართველოს ნაწილი.

(ბ. გურგულია, „ედემი ხარ, პატარა!..“)

ქრესტომათიის გამოცემა შემზადებული იყო ქართველ მწერალთა მიერ ადრინდელი თარგმანებით: აფხაზური პროზის ქართული თარგმანები გამოქვეყნებულია არა მარტო ცალკეული ნაწარმოებების სახით, არამედ გამოცემულია აფხაზ ავტორთა კრებულები და პროზის ანთოლოგიაც (1957). ამდენად თუმცა „აფხაზური ლიტერატურა“ (ქრესტომათია) ქართველი მკითხველისათვის „უცხო ხილი“ არ არის, მაგრამ იგი მაინც პირველი წიგნია, რომელშიც თავმოყრილია აფხაზური მწერლობის (პოეზია, პროზა) საუკეთესო ნიმუშები და მკითხველს საშუალება აქვს თანამიდევრულად გაადევნოს თვალი აფხაზური მწერლობის განვითარებას.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ რატომღაც შემდგენლებს დრამატურგიის არც ერთი ნიმუში კრებულში არ შეუტანიათ. ცხადია, ყველამ კარგად იცის, რომ დრამატურგია მწერლობის ერთ-ერთი რთული ჟანრია. ამიტომ სუსტადაც რომ მივიჩნიოთ აფხაზური მწერლობის ეს ჟანრი, ორიოდე ნიმუში (თუნდაც ნაწყვეტები) ქრესტომათიაში მაინც უნდა შეგვეტანა.

საერთოდ, ქრესტომათიაში შესული ნაწარმოებები სწორ წარმოდგენას გვაძლევს აფხაზური ლიტერატურის მრავალფეროვან ბუნებაზე, მის მოტივებსა და მხატვრულ თავისებურებაზე. მასში დაბეჭდილი ოცდაათამდე მწერლის ოთხმოცზე მეტი ნაწარმოები ქმნის მნიშვნელოვან აუმღერეველ ნაკადს, ძლიერ ჩქერალს მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში. აღსანიშნავია, რომ მკითხველი ეცნობა აფხაზური ლიტერატურის ყველა თაობის ნიჭიერ წარმომადგენლებს, იმათ, ვინც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა რევოლუციამდე, ოც-ოცდაათიან წლებში, დიდი სამამულო ომისა და ომისშემდგომ პერიოდში, კერძოდ, მკითხველი გაეცნობა აფხაზური მწერლობის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას, სამსონ ჭანბას, იუა კოღონიას, მიხეილ ლაკერბაიას, ძაძ დარასლიას, მუშნი ჰაშბას, ივანე პაპასკირის, ლევარსა კვიწინიას, ლეონტი ლაბახუას, შალვა წვიჯბას, ქიაზიმ აფუმაას, ბაგრატ შინკუბას, ივანე თარბას, ჭიჭიკო ჯონუას, ალექსი ჯონუას, ალექსი ლასურიას, კირშალ ჩაჩხალიას, კონსტანტინე ლომიას, გიორგი გუბლიას, ალექსი გოგუას, ნელი თარბას, ვლადიმერ ანქვაბის, ალექსი ჯენიას, შოთა ჭკადუას, შალოდია აჯინჯალის, მუშნი ლასურიას, ჯუმა ახუბას, ნიკოლოზ კვიწინიას და ბორის გურგულიას რომანებს, პოეტურ ეპოსს, ლირიკულ ლექსებს, მოთხრობებს და ნოველებს, (აქვე მაღალი შეფასება გვნდა მივცეთ ქართველ მწერლებს, რომლებმაც მაღალ დონეზე თარგნეს აფხაზ ავტორთა ნაწარმოებები და შეუნარჩუნეს ორიგინალის სურნელება).

ქრესტომათიაში, ბუნებრივია, შევიდა რევოლუციამდელი აფხაზი ხალხის მძიმე ცხოვრებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ამსახველი ნაწარმოებები, მაგრამ მკითხველის ინტერესს, უპირველეს ყოვლისა, იწვევს თანამდროვეობის პათოსი; სოფლის კოლექტივიზაციის, სოციალისტური ყოფის, შშობლიური პარტიისადმი ერთგულების, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმისა და ზნეობრივი სიწმინდის გამომხატველი ქმნილებები, რომლებიც გვხიბლავს ამაღლებული განწყობილებით, მხატვრული სიმართლით და დახვეწილი ფორმით.

აფხაზი ხალხის განმანათლებელი, დიდი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი დიმიტრი გულია ქრესტომათიაში წარმოდგენილია თემატიკურ-ჟანრული მრავალფეროვნებით (გარდა დრამატურგიისა). მისი ავტობიოგრაფიული პოემა „ჩემი კერა“ და რომანი „კამაჯიჭი“ ასახავს აფხაზი ხალხის მძიმე რევოლუციამდელ სოციალურ-პოლიტიკურ ყოფას, სატირული ლექსები „ძვირფასი ქმნილება“ და „დიდი ხოჯანი“ ამათრახებს გაიძვერა ორპირ ადამიანებს, ქურდებსა და მოძალადეებს, რომლებიც ურცხვად მდიდრდებიან (კლასიკოსი მწერლის ეს ადრინდელი ნაწარმოებები დღესაც ინარჩუნებს მამხილებელ ძალას), ხოლო ლექსები „პარტია“, „რუსთაველის ძეგლი სოხუმში“, „გემი მოვიდა“ გამსჭვალულია ახალი სინამდვილისადმი სიყვარულისა და ხალხთა მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის გრძნობით; ეს ლაიტმოტივი წითელ ზოლად გაჰყვება მთელ ქრესტომათიას. — ი. პაპასკირის, ლ. ლაბახუას, ბ. შინკუბას, ი. თარბას, ა. ჯონუას, გ. გუბლიას, ბ. გურგულიასა და სხვა აფხაზი მწერლების ნაწარმოებებს, რომლებშიც განსაკუთრებული სითბოა გამოხატული საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი.

საგაზეთო რეცენზიაში საშუალება არ გვაქვს ცალ-ცალკე განვიხილოთ ქრესტომათიაში გამოქვეყნებული მხატვრული ტილოები, რომლებიც უდავოდ გამოიწვევენ ჩვენი მკითხველის დიდ ინტერესს. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული ცნობილი დადგენილება აფხაზეთის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარების შესახებ, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც აგრეთვე ითვალისწინებს აფხაზური ენისა და ლიტერატურის, ოსური ენისა და მწერლობის სწავლების შემდგომ გაუმჯობესებას, ახალ შემოქმედებითს აღმავლობას გამოიწვევს ქართულ, აფხაზურ და ოსურ ლიტერატურაში. ჩვენ იმედი გვაქვს, ქართველი მკითხველი მომავალში კვლავ იხილავს აფხაზური მწერლობის ქრესტომათიის ახალ კრებულს, რომელიც უფრო სრული იქნება და ფართო წარმოდგენას შეგვიქმნის ნიჭიერი აფხაზი ხალხის კაზმულ სიტყვაობაზე.

დავით თევზაძე,
პროფესორი.

წიგნის თარო

ძმა ძმის ბალში

ქართულ ენაზე აფხაზური ლიტერატურის ქრესტომათიის გამოსვლის გამო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ქ. წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მუშათა კვალიფიკიური კადრების მომზადების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, დაარსების მე-80 წლისთავთან დაკავშირებით, ქ. წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი,
1979 წლის 4 ივნისი.

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მუშათა კვალიფიკიური კადრების მომზადების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭათ:

ბიორგი ბიქტორის ძე **გიორგბერიძეს** — ქ. წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სწავლების ოსტატს; ნოდარ სიმონის ძე **ქუთათელაძეს** — ქ. წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს; გიგლა სევერიანეს ძე **ჩიმაკაძეს** — ქ. წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.

ინფორმაცია—79

თბილისს შეემატა

თბილისში დამთავრდა ყვავილების დღესასწაული. დღესასწაულის დღეებში სხვადასხვა რაიონში გაიხსნა ცხრა ახალი სკვერი, მწვანე ნარგავთა ფართობი თითქმის შვიდი ჰექტარით გაიზარდა. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოეწყო ყვავილების გამოფენა.

ზეიმის ეიურიმ შეაჯამა კონკურსების შედეგები. პირველი ხარისხის დიპლომები მიიღეს თბილისის ცენტრალურმა ბოტანიკურმა ბაღმა, ოქტომბრის, კალინინისა და კიროვის რაიონების გამწვანების საბაზო სანერგე კანტორებმა, სტალინის სახელობის, კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების და „გამარჯვების“ პარკებმა, თბილისის ზოოპარკმა.

სუეკეთესოდ ცნეს ორჯონიკიძის, საქარხნო, კიროვის რაიონების გამწვანების კანტორებისა და გამწვანების საქალაქო საექსპლოატაციო კანტორის მიერ მოწყობილი სკვერები.

ეიურიმ განსაკუთრებით აღნიშნა მოყვარული მეყვავილეების მიერ გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები. გამარჯვებულად ცნეს ბუნების დაცვის საზოგადოების წევრები გ. ნიკოლაიშვილი, ძ. წიქორიძე, აგრეთვე მეკაქტუსეთა სექცია.

მიმდინარე წლის დამდეგიდან ქალაქში გაშენდა ორი პარკი, 23 სკვერი. საქალაქო ტერიტორიის გამწვანების ორთვიურის განმავლობაში, რომელიც 1 მარტიდან 1 მაისის ჩათვლით მოეწყო, დარგა 60 ათასზე მეტი ხე და ბუჩქი, დაახლოებით 164 ათასი ყვავილი.

ჯილდომ იპოვა მეომარი

ეს მოხდა 35 წლის წინათ. საბჭოთა ჯარები ფაშისტ დამპყრობთაგან ათავისუფლებდნენ მომძე პოლონეთს. ერთ-ერთი დაძაბული ბრძოლის დროს, როცა ქვეგანაყოფს მთელი დღეღამე უხდებოდა ჰიტლერელთა განუწყვეტელი იერიშების მოგერიება, თავი გამოიჩინა სანიტარმა ჯარისკაცმა, სოფელ საკრაულის მკვიდრმა, კომკავშირელმა გიორგი კუდარავამ. მან ბრძოლის ველიდან გამოიყვანა 30-ზე მეტი მძიმედ დაჭრილი ამხანაგი.

იმ ბრძოლაში თვით კუდარავაც დაიჭრა. იგი ჰოსპიტალში გაგზავნეს და თავის ნაწილში აღარ დაბრუნებულა.

ომი ჩვენი ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა. გავიდა წლები, მაგრამ ყოფილი მეომარი კავშირს არ წყვეტდა თავის თანამებრძოლებთან. სოფელ საკრაულაში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდა წერილები. და ერთ-ერთი თანამპოლკელი დაინტერესდა, მიიღო თუ არა გიორგიმ ჯილდო — აჯი ომ სამახსოვრო ბრძოლის შემდეგ იგი ორდენზე წარადგინეს.

მაიაკოვსკის რაიონის სამხედრო კომისარიატმა შეკითხვა გაუგზავნა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს. პასუხმაც არ დაიყოვნა: „ვაქაციობისა და მამაცობისათვის სანიტარი გ. კუდარავა დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით“.

ასე იპოვა ჯილდომ მეომარი 35 წლის შემდეგ. (საქინფორმი).

ლევან სანიკიძე

ძეგლი ცოცხალი წინაპარია

თავგადასავალი ერის საუნჯისა

მაგრამ კმარა. ისევ „ძეგლთა რაინდის“ დასკვნა ვიმყოფინოთ:

„ერთი სიტყვით, გასაკვირველ ზნეს იჩენდნენ: რაც კი რამ კარგი მოეპოვებოდათ, ყველაფერი უცხოელებისათვის უნდოდათ! რომ ეს არა, ჩვენი მუზეუმები ახლა ერთი ათად უფრო მდიდრები უნდა გვქონდეს ხელნაწერებითა და სამახსოვრო საგნებით, ხოლო უცხოთის მუზეუმებში ჩვენთვის სანუკვარი არც ერთი ძეგლი არ უნდა იყოს მოხვედრილი ქართული კულტურისა!“.

ესეც ხომ ასეა: გლახა გაჩცემარა ქურდზე უარესიაო. მაგრამ ახლა ჩვენი მაშინდელი „ეროვნული მესვეურების“ საშინაო კულტურული „გარჯილობაც“ იხილე, მკითხველო: ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგებელმა ეკლესიის აშენება განიზრახეს, იჯარადარი მოიწვიეს და სავსებით მშვიდად და თამამად გამოუცხადეს — შეგიძლიათ ჩვენი ეკლესიის მშენებლობაში საშენ მასალად და სამკაულად ბაგრატის ტაძრის ნანგრევები გამოიყენოთო!

მადლობა ღმერთს, ბრძანდებოდა ილია ჭავჭავაძე და საშინლად აღშფოთებულმა ეროს მამამ „ივერიაში“ (1883 წლის 6 ნოემბრისა) მოწინავედ გამოაქვეყნა თავისი თანამოაზრისა და თანამოსაგრის, ალექსანდრე ნანეიშვილის გულისწყრომით აღსავსე წერილი: „კიდევ უფრო საკვირველი ის არის, რომ ადგილობრივმა სასულიერო მთავრობამ ამ გარემოებას ყურადღება არ ათხოვა და არ აღუკრძალა სასულიერო სასწავლებლის მთავრობას გაძარცვა დიდებულის ტაძრისა, რომელიც ჩვენმა უზრუნველობამ ლამის არის სრულიად პირქვე დაამხოს და დედამიწის ზურგიდან აღგაგოს“.

და იქვე:

„სამწუხაროდ, ეს მაგალითი უზრუნველობისა ერთადერთი არ არის. ძველ მონასტრებსა და ეკლესიებში ძველი მხატვრობა გაქრა, მრავალი ძველი ნივთი უგზო-უკვლოდ გაზიდეს. ბათუმის მხარეში, სადაც ეგოდენი ნანგრევებია მონასტრებისა, ეკლესიებისა და ციხე-დარბაზებისა, ქვებს ეზიდებოდნენ და ეზიდებიან სახლებისა და ბუხრების ასაშენებლად. ფშავ-ხევსურეთში მრავალი ძვირფასი ძველი ნივთი, რომელიც ბოლომდის დაცული იყო, ეხლა არავინ იცის, სად გაქრა. ერთის სიტყვით, არ არის ისეთი ადგილი საქართველოში, სადაც ჩვენს უზრუნველობასა და დაუდევრობას თავი არ ეჩინოს“. იმ უძმურ დროში ისიც მოხდა, რომ კაბენში, კოჯორთან, თამარ მეფის დროინდელი დიდებული ტაძარი სახურავიდან ბალავრამდე დაშალეს და საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად დაწიწილაკეს.

ბოლოს და ბოლოს, რა შეიძლება დაარქვას კაცმა ყველა ამ უკაცურს, ეროვნულ საუნჯეთა „გულუხვ მეფეშქაშეებს“, მძარცველებს, ქურდებს, ძეგლთამკვლელებს?!

აქედანვე ესეც საგანგებოდ მიი ნიშნე, კეთილო მკითხველო: ამ „კულტურულ მტაცებლობათა“ ციებ-ცხელების ჟამს არსად ჩანს ჩვენი ეროვნული საეკლესიო საჭეთმპყრობელება; არ ისმის საეკლესიო მამათა არც ერთი პროტესტანტული ხმა, თუნდაც ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, არც ერთი ანათემა, თუნდაც (საეროს რომ თავი დავანებოთ) სასულიერო ძეგლთა მკრეხელური ხელყოფისათვის, არც ერთი გულიდან აღმოხდენილი „ფუვავ ღვთაებრივი“, ან მუქარა „ღვთაებრივი განკითხვის დღითა“. ის კი არა და საეკლესიო მესვეურნი და მოწესენი თვითონ არიან საეკლესიო და საღვთო ძეგლთა თაყვანყვეტილი მპოხარნი, მტაცებელნი და დამამხობელნი, აი, ისეთნი, სულკურთხეული დავთი აღმაშენებლის დროს „ავაზაკთა ქვაბს“ რომ ეძახდნენ...

ჭინჭში გახვეული სამართებლები

თითო-ოროლა ენთუზიასტი რას გახდებოდა „სახელმწიფოებრივი წაყრუებით“ გათამამებული ავანტიურისტების, შარლატანებისა და ქურდების წინააღმდეგ. მით უფრო, რომ ყველა ამ გაუმაძღარ ჰარპიას მაღალი სასულიერო ან საერო მაგისტრატურა ეჭირა. იყვნენ ეპისკოპოსები, ეგზარქოსები, გუბერნატორები, „ვიცეები“, პოლიციმაისტერები და მრავალნი მსგავსნი ჩინოსან-უჩინოსანნი.

თანაც ყველანი მოქმედებდნენ „უწყინრად“, უჩინრად, შეფარვით, მალულად, — ვითარცა ჭინჭში გახვეული სამართებელი.

ჩვენ ქართული კულტურის თაყვანისმცემლები, დამფასებლები, მფარველები და დამცველები ვართო, ქართული ძეგლებისგან საგანგებო კოლექციები უნდა შეკადგენოთო, სიმდიდრე ადგილზე უნდა დავაბინავოთო, დაზიანებული ნივთები და ნაგებობანი უნდა შეეკეთოთო, გავაახლოთო, გავალამაზოთო...

ქართველი ხალხის ამნაირმა „გულშემატკივრებმა“, საქართველოს ეგზარქატის დასტურითა და ხელშეწყობით, ქართული ეკლესია-მონასტრებიდან ხელოვნების უთვალავი და უძვირფასესი ძეგლები გაიტაცეს, ოქრომჭედლური ნივთები, მინანქრები, ხატები, ჯვრები, თასები, აზარფეშები, მურასად მოოქვილნი საჭურველნი, ძვირფასყიდანი წიგნები და უნიკალური მანუსკრიპტები.

ქართულ სიძველეთა დატაცებით თავი ისახელა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა გრაფმა ლევაშოვმა, რომელმაც მრავალ ძეგლთა შორის მიითვისა მომინანქრებული და ოქროთი მოჭედილი უნიკალური ხახარება.

ავანტიურისტმა ფოტოგრაფმა საბინ-გუსმა, ძეგლთა „განახლებისა“ და „შეკეთების“ აჩემებით, მთელი დასავლეთ საქართველოს მოხასტრები და ეკლესიები გაძარცვა. ჯუმათის ეკლესიიდან მან ორი უძვირფასესი ხატი გაიტაცა — მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა ხატები, ტიხოროანი მინანქრებით შემკულ-მოკაზმულნი; შემოქმედის მონასტრიდან მეათე საუკუნის უნიკალური, ჯვარცმიანი ჯვარი აწაპნა...

თავგამოდებით იბრძოდა დიმიტრი ბაქრაძე. მან შესანიშნავი რუსი მეცნიერი და ხელოვანი, აკადემიკოსი ნ. კონდაკოვი დაიახლოვა და მისი თანადგომით ბაცარი პროტესტით ამცნო ქვეყანას ქართული სიძველეების მტაცებლობის ამბავი. ბევრი კეთილი საქმე განასრულეს მაშინ ქართველმა და რუსმა მეცნიერებმა. ერთად შემოიარეს საქართველო და აღწერეს მონასტრებში დაცული ყოველი ძეგლი და ნივთი. დიმიტრი ბაქრაძე „ცისკრის“ ფურცლებით მოუწოდებდა ქართველ ერს დაუნდობელი ბრძოლა ეწარმოებინა ქართული ძეგლების ნგრევისა და დატაცების წინააღმდეგ.

დიმიტრი ბაქრაძე 1890 წელს გარდაიცვალა. ბრძოლას განაგრძობდა მისი დიდი მოწაფე ექვთიმე თაყაიშვილი. მოდებული იყო საქართველოს ძთას, ბარს, ტყეს, ღრეს, დადიოდა, ეძებდა, აკვლევდა, იკვლევდა, აგროვებდა, წერდა, იცავდა, პატრონობდა.

1901 წელს ბეთანიის ფრესკებს დაეშუქრა წარხოცვა და განადგურება. სახურავიდან წყალი ჩადიოდა და თამარ შვიდნათობიერის უნიკალურ ხატებას ზედ ეღვრებოდა. მოუსწრო ექვთიმე თაყაიშვილმა, ერთგული თანამშრომელი არისტო ქუთათელაძე და ბერი კეთილაძე მიიყვანა და ბეთანიას სახურავი გამოუცვალა.

მაშინ ცნობილი ნორვეგიელი მხატვარი და ფრესკის ოსტატი კრონი თბილისში იმყოფებოდა მეუღლითურთ. თაყაიშვილმა კრონი ბეთანიას წაიყვანა, თამარის ფრესკა აჩვენა და მისი გადმოხატვა სთხოვა.

დიდხანს უცქირა თურმე კრონმა თამარის ხატებას და ბოლოს ეს აღმოხდა განცვიფრებულსა და აღფრთოვანებულს:

„ნორვეგიაში რომ ჩვენ ასეთი რაიმე გვქონდეს, ოქროს ხუფს დავახურავდით და ისე შევინახავდითო“.

ჭინჭში გახვეული სამართებლები კი მოქმედებდნენ და ჭრიდნენ ფარულად, „კეთილად“ და „ალერსიანად“.

1903 წელს მესხეთის დიდებული ძეგლი საფარა უნდა გამხდარიყო უგუნური ბოროტების მსხვერპლი. იქაურმა ბერებმა გადაწყვიტეს „თავის გემოზე“ მოექციათ ბრწყინვალე ქართული გემოვნებით მოხატული ტაძარი და შეუდგნენ კიდეც მეცამეტე საუკუნის ფრესკების გადათეთრებას და გადაღებვას.

ძლივს შეაწყვეტინა ექვთიმე თაყაიშვილმა ეს უმძიმესი უკეთურობა შლეგიან ბერ-ფიჩოსნებს....

ერთიც ვიკითხოთ, კეთილო მკითხველო: სად იყო ამ დროს ქართული საეკლესიო საჭეთმპყრობელობა?!

გელათი

სასწაული მარტო კაცისა

1918 წელს მეწშევიკური ხელისუფლება ჩაფრინდა საქართველოს ნაწამებ კისერს.

რა ძეგლი, რის ძეგლი, როცა სახელმწიფოს საკეთმპყრობელი სამშობლოს მამის, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო ასეთ გაუგონარ, მკრეხელურ სიტყვას დაუგდებს და დაუტოვებს შთამომავლობას: როცა ხეს სჭრიან, ნაფოტიც ცვივაო.

სწორედ ამ, თვითონ ნაფოტა მაგის

საერთაშორისო დღიური ზურგზე ცხოვრება

მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის

ბუდაპეშტი, 5 ივნისი. (საკ-დისი). ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. კადარის ბუდაპეშტის შეხვედრები და მოლაპარაკება ახალი ისტორიული ეტაპი გახდა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის, ჩვენი პარტიებისა და ხალხების იმ მრავალმხრივი ურთიერთობის განვითარებაში, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურღვევ პრინციპებზეა დაფუძნებული, განაჯადა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების თავმჯდომარის მოადგილემ შ. რაფაიმ.

ყოველი შეხვედრა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან, უნგრელი ხალხის დიდ მეგობართან, ღრმა კვალს სტოვებს ჩვენს გულში, თქვა მან საკდისის კორესპონდენტთან საუბარში. მთელი მსოფლიო იცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის, მშრომელებისა და ინტელიგენციის შეხვედრა. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება ებრძოლონ პოლიტიკური ამნისტიისთვის,

ტოკიო. სამხრეთ კორეაში კვლავ სწრაფად ძვირდება სურსათი და პირველი საჭიროების საგნები. როგორც სეულიდან იტყობინებიან, წლის დამდეგიდან სურსათისა და სამრეწველო საქონლის საბითუმო და საცალო ფასები 12 პროცენტით და მეტად გაიზარდა. სამხრეთ კორეის მარიონეტული რეჟიმი, რომელიც ფასებს უმატებს და მოსახლეობას დიდი გადასახადებით ბეგრავს, ამავე დროს უზარმაზარ სახსრებს გამოყოფს საკუთარი სამხედრო მრეწველობის შესაქმნელად, მილიტარისტული მზადების გასაძლიერებლად. (საკდისი).

საბჭოთა კავშირის დღეები შვეიცარიაში

სტოკჰოლმი, 5 ივნისი. (საკ-დისის კორ.). შვეიცარიის დედაქალაქის „ცენტრალურ პარკში — „სკანსენში“ ოთხ დღეს ფრიალებდა შვეიცარიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დროშები. აქ 1-4 ივნისს საბჭოთა კავშირის დღეები მიმდინარეობდა. დღეების პროგრამით გათვალისწინებული იყო კამოფენები, კინოფილმების დემონსტრაცია, თბილისის მოცეკვავე ბავშვთა ანსამბლის გამოსვლები.

ხალხმრავლობა იყო საგამოფენო დარბაზებში, სადაც ექსპოზიციაზე გამოეტანათ წიგნები, მარკები, ფოტოსურათები, ბავშვების ნახატები, ხელმარჯვე ოსტატთა ნაკეთობანი.

დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წიგნების „მცირე მიწის“, „აღორძინებისა“ და „ყამარის“ შვედურმა გამოცემებმა.

პარკის ცენტრალურ ესტრადაზე უდიდესი წარმატებით გამოდიოდა „ორტეკის“ ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, ჰავანის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის მონაწილე — ქალაქ თბილისის მე-3 ექსპერიმენტული სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი. ამ ანსამბლის ყველა გამოსვლას მაყურებლები მჭიხარე ტაშით ხვდებოდნენ. სტოკჰოლმის შემდეგ ანსამბლი კონცერტებს გამართავს ავრეთვე შვეიცარიის სხვა ქალაქებში.

პატარა ქართველი მსახიობები გულით შეიყვარა ჩვენმა მაყურებელმა. მათი ხალისიანი ცეკვა ძალზე მოეწონა ხალხს, და ჩვენ მოხარული ვართ, რომ სწორედ ახლა, ზაფხულის დადგომას, როცა პარკში ყოველდღიურად 15-20 ათასი კაცი დადის, შესაძლებლობა მოგვეცა წარმატებით მოგვეწყო საბჭოთა კავშირის დღეები. ყველას, ვინც ამ დღეებში „სკანსენს“ ესტუმრა, დიდხანს დარჩება მეხსიერებაში საბჭოთა კულტურის გაცნობით მიღებული მდიდარი შთაბეჭდილება, თქვა საკდისის კორესპონდენტთან საუბარში პარკის დირექტორმა ინგემარ ლომანმა.

საბჭოთა კავშირის დღეები „სკანსენში“ შვეიცარიაში საბჭოთა კავშირის საზოგადოების კავშირის ინიციატივით მიმდინარეობდა. ეს დღეები ბრწყინვალე ფურცლად შევა შვეიცარიის და საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის ისტორიაში.

მთავრობა შეადგინეს

ვენა, 5 ივნისი. (საკდისი). დღეს ფედერალურმა პრეზიდენტმა ვ. კირხშლეგერმა ავსტრიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ბ. კრაისკი ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერად დანიშნა. ამა წლის 6 მაისს ავსტრიის სოციალისტურმა პარტიამ პარლამენტის არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა.

შემდეგ ბ. კრაისკის წინადადებით ფედერალურმა პრეზიდენტმა მოიწონა მთავრობის შემადგენლობა. წინანდელ შემადგენლობასთან შედარებით ახალ კაბინეტში რამე ცვლილება არ მომხდარა.

მთავრობის წევრებმა ფიცი დადეს ფედერალური პრეზიდენტის წინაშე. ვიცე-კანცლერად კვლავ დაინიშნა ჰ. ანდროში, საგარეო საქმეთა მინისტრად — ვ. პარი.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲨᲘ

კოტონუ, 5 ივნისი. (საკდესი). სამხედრო გადატრიალების შედეგად განის ყოფილი მთავრობა გენერალ ფ. აკუფოს მეთაურობით დადაჭენებულია, ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც აკრის რადიომ გადაცა უმცროს ოფიცერთა ჯგუფის სახელით.

განის თავდაცვის შტაბის უფროსმა ჯ. მ. ჰამიდუმ რადიოთი გამოსვლისას განაცხადა, რომ აჯანყებულებმა ხელთ იგდეს არმიის შტაბი.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ განის დედაქალაქ აკრაში დაწესდა კომენდანტის საათი, აგრეთვე აღნიშნულია, რომ ქვეყნის საყოველთაო არჩევნები, როგორც დაგეგმული იყო, 18 ივნისს ჩაიმართება.

თბილისელთა წარმატება

ერევანში დამთავრდა სსრ კავშირის ქალაქების სამატრო შეხვედრები ტრიკეზე რბოლაში. თბილისის კოლექტივმა 386 ქულით ყველას აჯობა. ტულის ნაკრები გამარჯვებულს 70 ქულით ჩამორჩა. ერევნელები მესამე ადგილზე გავდნენ — 268 ქულა. პირად ასპარეზობაში თბილისელმა ე. გელაშვილმა მოიგო სპრინტიც და 1000 მეტრზე ადგილიდან რბოლაც. მეორე თბილისელმა გ. დვალიშვილმა კი ამ სახეობებში მესამე ადგილები დაიკავა. 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში პირველი იყო თბილისელი ი. ზიმენკოვი. თბილისელებმა ამ სახეობაში გუნდური რბოლაც მოიგეს.

ᲨᲕᲘᲓᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲒᲣᲜᲘᲜ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის შეთორმეტე ტურის 7 შეხვედრა. შედეგები ასეთია: „ფაზთაქორი“-„ყაზრათი“ — 1:2, „დინამო“ (მინსკი)-„არარატი“ — 3:2, „ზარია“-„ჩერნომორეცი“ — 2:1, „შახტიორი“-„დინამო“ (კიევი) — 1:0, ასკ-„ნეფთჩი“ — 2:0, „ზენიტი“-„დინამო“ (მოსკოვი) — 2:0, „ლოკომოტივი“-„ტორპედო“ — 1:0.

თორმეტი ტურის შემდეგ „შახტიორი“ 21 ქულით გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი გახდა. თბილისის „დინამო“ 19 ქულით მეორე ადგილზეა.

დღეს ტურის ბოლო მატჩია. ერთმანეთს ხვდებიან „სპარტაკი“ და „კრილია სოვეტოვი“.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲔᲑᲗᲐᲜ

პოლონეთის ქალაქ პიოტრკოვ-ტრიბუნალსკში მთავრდება მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. ბოლო ტურის წინ ლიდერობს ტატიანა ზატულინასკაია — 10,5 ქულა. მომდევნო ადგილებზე 9,5-9,5 ქულით არიან ნონა გაფრინდაშვილი და ლიდა სემიონოვა.

იუგოსლავიის ქალაქ ნოვი-სადში ასპარეზობს ნანა ალექსანდრია. მას ოთხი ტურის შემდეგ 2,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

მოსკოვში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. ოთხი ტურის შემდეგ 3 ქულა და ერთი უარეს მდგომარეობაში გადადებული პარტია აქვს ლემაჩკოს (ბულგარეთი). თბილისელ ნანა იოსელიანს — 2 ქულა და ლემაჩკოსთან მოსაგებ პოზიციაში გადადებული პარტია.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

თბილისი. „ლოკომოტივის“ რეგბისტთა გუნდმა მრავალი ქომაგი შეიძინა და ისინი დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის ლიდერის მატჩებს. რეგბის მოყვარულებს ვთვალთვალებთ მერვე ტურის „კალენდარული თამაშების დაზუსტებულ განრიგს: **კვირა — 10 ივნისი.** „ლოკომოტივი“ (თბილისი)-„პოლიტეხნიკი“ (კიევი), „ელვა“ (თბილისი)-„„სახლმშენი“ (ქუთაისი), „ავიატორი“ (კიევი)-„პოლიტეხნიკი“ (კრასნოიარსკი), „ფილი“ (მოსკოვი)-ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი), „სლავა“ (მოსკოვი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი).

Ა. პაიჭაძე

გარდაიცვალა სკკპ წევრი, რესპუბლიკის დამსახურებ უ ლ ი ფიზიკოსი, პერსონალური პენსიონერი, ქ. თბილისის ჯალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე აკაკი ნიკიფორეს ძე **პაიჭაძე**.

ა. პაიჭაძე დაიბადა 1910 წელს. 1931 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო პროკურატურის ორგანოებში. იგი იყო სახალხო გამომძიებელი, რაიონის პროკურორი, ქ. თბილისისა და რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალურ აპარატში განყოფილების პროკურორი.

1961-1971 წლებში ა. პაიჭაძე საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეა, ხოლო 1971 წელს ინიშნება საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ, სადაც იმუშავა 1974 წლის დეკემბრამდე.

პერსონალურ პენსიაზე გასვლის შემდეგ ა. პაიჭაძე საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრია და მუშაობდა ქ. თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგედ.

იგი დაჯილდოებული იყო ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენით და ოთხი მედლით.

შესანიშნავი მოქალაქისა და გულისხმიერი ამხანაგის, ღვაწლმოსილი იურისტის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს სსრ პროკურატურა; საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

რედაქტორი

ბ. ბედინეიშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტი

აცხადებს მსმენელთა მიღებას 1979-1980 სასწავლო წლისათვის თბილისის საქალაქო ფაკულტეტებზე და ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის, ბორის, თელავის ფილიალებში

თბილისის საქალაქო ფაკულტეტები და განყოფილებები:

1. პარტიულ-სამეურნეო აქტივის ფაკულტეტი

განყოფილებები:

ა) პარტიული მშენებლობის (ქართული სექტორი);

ბ) საბჭოთა მშენებლობის (ქართული სექტორი);

გ) სოციალისტური წარმოების მართვის მეცნიერება და პრაქტიკა (ქართული სექტორი);

დ) სამეურნეო ხელმძღვანელების (ქართული სექტორი).

2. იდეოლოგიური კადრების ფაკულტეტი

განყოფილებები:

ა) ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის (ქართული სექტორი);

ბ) მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის (ქართული სექტორი).

3. პროპაგანდისტული ფაკულტეტი

ა) სკკპ ისტორიის (ქართული სექტორი);

ბ) პოლიტიკური ეკონომიის (ქართული და რუსული სექტორები);

გ) მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის (ქართული და რუსული სექტორები);

დ) მეცნიერული კომუნიზმის (ქართული და რუსული სექტორები).

4. ზოგადი ფაკულტეტი (ქართული და რუსული სექტორები).

პარტიულ-სამეურნეო აქტივის ფაკულტეტის პარტიული მშენებლობის განყოფილებაზე მიიღებიან პარტიული კომიტეტებისა და ბიუროების მდივნები და მათი მოადგილეები; **საბჭოთა მშენებლობის განყოფილებაზე** — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები; **მართვის მეცნიერებისა და პრაქტიკის განყოფილებაზე** — ქალაქის სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკები; **სამეურნეო ხელმძღვანელების განყოფილებაზე** — კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის ხელმძღვანელი მუშაკები.

იდეოლოგიური კადრების ფაკულტეტის ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო სკოლის დირექტორები და მოადგილეები; **მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის განყოფილებაზე** — შემოქმედებითი კავშირებისა და კოლექტივების, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკები.

პროპაგანდისტულ ფაკულტეტზე მიიღებიან მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირები, ხოლო ზოგადზე — საშუალო და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით, რომლებიც ამჟამად აღარ სწავლობენ.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის, იდეოლოგიური კადრებისა და პროპაგანდისტული ფაკულტეტების ყველა განყოფილებაზე სწავლების ვადაა 2 წელი, ხოლო ზოგად ფაკულტეტზე — 3 წელი.

სწავლება მიმდინარეობს წარმოებას მოუწყვეტლივ საღამოს საათებში, კვირაში ერთხელ.

დაუსწრებელი განყოფილების პროპაგანდისტული ფაკულტეტის შემდეგ სპეციალობებზე:

ა) სკკპ ისტორიის (ქართული და რუსული სექტორები);

ბ) პოლიტიკური ეკონომიის (ქართული და რუსული სექტორები);

გ) მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის (ქართული და რუსული სექტორები);

დ) მეცნიერული კომუნიზმის (ქართული და რუსული სექტორები).

დაუსწრებელი განყოფილება შემდეგ მსმენელები მიიღებენ პარტიული განათლების სისტემაში უმაღლესი პოლიტიკური განათლების დიპლომებს.

განცხადებების მიღება იწარმოებს 30 ივნისამდე.

უნივერსიტეტში მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

უნივერსიტეტის მისამართი: თბილისი, შ. ჩიტაძის ქ. № 8, ტელ. 99-79-61, 93-45-37.

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

აცხადებს მიღებას 1979-80 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე (სწავლების ფორმა დღის დასწრებული):

ფორტეპიანო, საორკესტრო საკრავები, სოლო სიმღერა, საგუნდო დირიჟორობა, კომპოზიცია და მუსიკოლოგია.

(ყველა სპეციალობაზე სწავლება ქართულ ენაზეა).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის ორივე სქესის 35 წლის ასაკამდე მოქალაქეები, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება.

საშუალო სპეციალურ სასწავლებელდამთავრებულნი მიიღებიან წარმოებას მოწყვეტით სწავლებაზე, თუ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ აქვთ პრაქტიკული მუშაობის სამი წლის სტაჟი. სტაჟი არ მოეთხოვებათ იმათ, ვინც საშუალო სპეციალური სასწავლებელი წარჩინების დიპლომით დაამთავრა, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 აგვისტოს № 656 დადგენილების საფუძველზე იმ სასწავლებელდამთავრებულებს, რომელთაც აქვთ ფრიადი და კარგი ნიშნები ყველა საგაზში და სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭოებმა რეკომენდაცია მისცეს კონსერვატორიაში სწავლის გასაგრძელებლად.

წარმოებას მოწყვეტით საშუალო სპეციალურ სასწავლებელდამთავრებულ პირთაგან საბუთების მიღების საფუძვლად ჩაითვლება დადგენილი ნიმუშის ცნობები (დანართები № 1' და № 2), რომლებიც გაცემულია სასწავლებლის მიერ.

კონსერვატორიაში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება რექტორის სახელზე სათანადო ფორმით;

2. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დიპლომის დანართს;

3. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც იძლევიან პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, იმ პირებს, რომელთაც არ მოეთხოვებათ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, შეუძლიათ წარმოადგინონ დახასიათება, გაცემული იმ სკოლებისა და სხვა სასწავლებელთა ხელმძღვანელების მიერ, სადაც ისინი სწავლობდნენ;

4. ამონაწერი შრომის ან კოლმეურნეობის წიგნაკიდან;

5. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286);

6. ოთხი ფოტოსურათი (ზომა 3X4 სმ.);

პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას შემსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

კონსერვატორიაში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. სპეციალობა (საგამოცდო პროგრამის შესრულება და კოლოკვიუმი) ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, საგუნდო დირიჟორობის, სოლო სიმღერის სპეციალობაზე შემსვლელთათვის, ხოლო კომპოზიციის სპეციალობაზე — საკუთარი ნაწარმოების წარმოდგენა. (სოლო სიმღერის სპეციალობაზე გამოცდა ტარდება ორ ტურად).

2. სოლფეჯიო (წერა, ზეპირი) ყველა სპეციალობაზე. მუსიკათმცოდნეობის და საგუნდო დირიჟორობის სპეციალობაზე პირველი გამოცდა იქნება სოლფეჯიო წერა. (აღნიშნულ სპეციალობებზე სოლფეჯიო წერა ცალკე შეფასდება და ზეპირი ცალკე).

3. ჰარმონია (წერა, ზეპირი) ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, საგუნდო დირიჟორობის, მუსმცოდნეობისა და კომპოზიციის სპეციალობებზე.

4. მუსიკის ელემენტარული თეორია (წერა, ზეპირი) სოლო სიმღერის სპეციალობაზე.

5. მუსიკის ლიტერატურა — კომპოზიციისა და მუსიკათმცოდნეობის სპეციალობებზე. ამავე დროს მუსიკათმცოდნეობის სპეციალობაზე შემსვლელნი აბარებენ წერით გამოცდას სპეციალობაში (რეფერატი).

6. საერთო ფორტეპიანო — კომპოზიციის, მუსმცოდნეობის და საგუნდო დირიჟორობის სპეციალობებზე.

7. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი) ყველა სპეციალობაზე.

8. სსრკ ისტორია (ზეპირი) ყველა სპეციალობაზე.

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლადამთავრებულნი, ან საშუალო სპეციალურ სკოლადამთავრებულნი, რომელთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას შესაბამისი სპეციალობისათვის დადგენილ პირველ საგანში. გამოცდის „ხუთს“ ჩაბარებისას, ისინი თავისუფლდებიან შემდგომი მისაღები გამოცდებისაგან.

საბუთების მიღება — 4 ივლისამდე 10 საათიდან 16 საათამდე ყოველდღე (გარდა კვირისა). კონსულტაციები 25 ივნისიდან.

მისაღები გამოცდები დაიწყება 6 ივლისიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კონსერვატორიის მიმღებ კომისიაში.

მისამართი: ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 8, ტელ. 99-91-47.

თბილისის ი. ნიკოლაძის სახელოვნების სამხატვრო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1979-80 სასწავლო წლისათვის

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ

7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრეშია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.30 — ანიტურიენტთათვის — ფიზიკა, 18.00 — განცხადებები (ფ.). 18.05 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.00 — „მილიონთა — ლენინური უნივერსიტეტი“. (მ.), 19.30 — „კონცერტი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „შეხვედრა მსახიობთან“. — ეროსი მანჯგალაძე, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „სასეგრაფო პროგრამა“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — საგანმანათლებლო მოკლემეგრეფიანი მხატვრული ფილმი — „ქალბაგონი — ვენერი გოგო“, 17.00 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ალაგარა მეგობრები“ (ფ.), 17.10 — სტუდენტებისათვის — მანქანებისა და მექანიზმების თეორია (ფ.), 17.55 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.25 — განცხადებები (ფ.), 18.30 — ფილმი-სპექტაკლი — „დამცინავი ბედი რქმი“.

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘ

7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ᲒᲐᲯᲔᲠᲘᲡ ᲓᲦᲔ (მე-11 აპონ. მე-4 წარმ.); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲛᲔᲡᲮᲘᲐᲜᲘ;** **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲘᲕᲐᲜᲔ ᲒᲣᲠᲯᲘᲜᲘ;** **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲑᲘᲭᲘᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ;** **რუსთავის სახელმწიფო დრამატული (პროფკავშირების სასახლეში, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 43) — ᲠᲐᲡ ᲘᲜᲓᲣᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲘᲩᲘ.**

ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ-ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲘᲓᲘ

საბჭოთა აჭარის დღეები ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოლქში

ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ

რომი. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულმა 6 მილიონამდე იტალიელმა მშრომელმა საერთო-ეროვნული გაფიცვა გამოაცხადა. პროფკავშირების მოწოდებით ქიმიკოსებმა, ფეიქრებმა, მშენებლებმა, მოჯამაგირეებმა, მელიორაციელებმა და სხვა კატეგორიის მშრომელებმა მუშაობა შეწყვიტეს იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ მეწარმეებმა უარი თქვეს განეახლებინათ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებები.

სურათზე: გაფიცულ მელიორაციელთა დემონსტრაცია რომში.

ნ. ტეტერინის ტელეფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲔᲡ იყო 45 წლის წინათ. 1934 წლის ზაფხულში აჭარას ეწვია გიორგი დიმიტროვი. 10 ივლისს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ბულგარელი ხალხის დიდი შვილი გამოვიდა პარტიული აქტივის საოლქო კრებაზე. თავისი სიტყვა მან ასე დაამთავრა:

— შავი ზღვა თქვენს ქვეყანას აშორებს ბულგარეთს, მაგრამ მალე დადგება დღე, როცა შავი ზღვა გახდება ორი მოძმე ხალხის — საბჭოთა და ბულგარელი ხალხების მეგობრობის ხიდი.

წინასწარმეტყველური სიტყვებია. ოცდაათი წლის შემდეგ, ძველი გონიოს ციხე-სიმაგრის ძირას ბლაგოევგრადის პირველი დელეგაციის წევრებმა ციტრუსის ბაღი გააშენეს. ნორჩი ხეები სიმბოლურად გამოხატავდნენ ბლაგოევგრადის ოლქისა და აჭარის ასსრ მშრომელთა მეგობრობის დაწყებას. ხეები გაიზარდა. ღრმად გაიდგა ფესვები ბლაგოევგრადისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა მეგობრობამაც. განვლილი 15 წლის მანძილზე ორივე ქვეყანამ გაიკვალა პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო, კულტურული დელეგაციები. ეს იყო სულიერად მონათესავე ადამიანთა ამაღელვებელი, საქმიანი შეხვედრები.

და აი ჩვენი ხალხების მზარდი მეგობრობისა და ძმობის კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინება: საბჭოთა აჭარის დღეები ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოლქში.

აჭარის ასს რესპუბლიკის წარგზავნილთა ჩასვლა ბლაგოევგრადში დაემთხვა ბულგარეთის სლავიური დამწერლობის, ბულგარული განათლებისა და კულტურის დღის დღესასწაულობას.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილ კრებაზე ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ბლაგოევგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. სანდევმა თქვა:

— სიმბოლურია, რომ სწორედ დღეს ვხსნით ჩვენს ოლქში საბჭოთა აჭარის დღეებს. ამ სიმბოლოს ღრმად აქვს ფესვები გადგმული ბულგარელი და საბჭოთა ხალხის ისტორიაში, გამოხატავს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას.

ბლაგოევგრადის ოლქის მშრომელებს კრების ტრიბუნიდან მხურვალე მისასალმებელი სიტყვებით მიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძემ.

ამ საზეიმო საღამოზე, თქვა მან, ალტაციებით გამოვხატავთ უდიდეს მადლიერებას თქვენი დიდი მასწავლებლების — კირილესა და მეთოდეს მიმართ, იმათ მიმართ, ვინც განსაზღვრა ბულგარული განათლებისა და კულტურის ნათელი მომავალი. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები ვამაყობთ სოციალისტური ბულგარეთისა და თქვენი ბლაგოევგრადის ოლქის უდიდესი მიღწევების გამო. ახლა ჩვენი მეგობრობა ჭეშმარიტად კოსმოსურ სიმაღლეზეა.

„საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის ფრთებმა კოსმოსში აიყვანეს რუსი და ბულგარელი“. ბულგარელი გიორგი ივანოვისა და რუსი ნიკოლოზ რუკავიშნიკოვის კოსმოსური ფრენის შესახებ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ამ სიტყვების მსგავსი არავის უთქვამს.

ამხ. ვ. პაპუნიძემ აჭარის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით ბლაგოევგრადელებს საჩუქრად გადასცა ვ. ი. ლენინის მოზაიკური პორტრეტი, რომელიც ძვირფასი ჯიშის ხეებითაა შესრულებული.

ბლაგოევგრადის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი მანიფესტაცია, რომელშიც აჭარის მშრომელთა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ახალგაზრდობის საქალაქო სახლში მოეწყო გამოფენა „აჭარა დღეს“, რომელმაც ფოტოდოკუმენტების მკაფიო ენით ათასობით დამთვალიერებელს გააცნო, თუ როგორ გახდა დღეს მეფის რუსეთის ოდესღაც ჩამორჩენილი მხარე განვითარებული ინდუსტრიის, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, აყვავებული მეცნიერებისა და კულტურის მქონე სახელმწიფო.

ბლაგოევგრადის ოლქში საბჭოთა აჭარის დღეების დროს ბევრი საქმიანი შეხვედრა მოეწყო. აჭარის დელეგაციის წევრებმა თავის მეგობრებსა და კოლეგებს გააცნეს მათ მიერ მოპოვებული მიღწევები სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში. ინტერესით მოისმინეს ბულგარელი ამხანაგების საუბარი.

ბულგარეთის კომპარტიის ბლაგოევგრადის საოლქო კომიტეტში მოეწყო დელეგაციის ხელმძღვანელთა შეხვედრა საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებთან.

საქმიანი კონტაქტები ყველა დონეზე გრძელდებოდა. აჭარის დელეგაციის წევრებს შეხვდნენ სამეურნეო ხელმძღვანელები, პროფკავშირული მოღვაწენი, კულტურულ-საგანმანათლებლო დწესებულებათა მუშაკები, მწერლები.

მაღალი სულიერი განწყობით აღინიშნა დღესასწაული. ბათუმის ქუჩაზე, ეს არის ბლაგოევგრადის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და ხალხმრავალი მაგისტრალი. ლამაზად გაფორმებული პლაკატები, მისასალმებელი ლოზუნგები, წითელი ვარდების თაიგულები, რომლებიც ათასობით ადამიანს ეჭირა ხელში, აქ გამართულ მიტინგს დიდი სახალხო ზეიმის ელფერს ანიჭებდა. ბათუმის ქუჩაზე თითოეულ სახლში ამ დღეს საზეიმო სუფრა იყო გაშლილი და თითოეულ ოჯახში ილოდნენ და მასპინძლობდნენ აჭარულ სტუმრებს, როგორც ყველაზე ძვირფასსა და ახლობელ ადამიანებს.

ორი დღე დაყვეს დელეგაციის წევრებმა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ სოფიაში. ისინი გაეცნენ ქალაქის ისტორიულ ადგილებს, ღირსშესანიშნაობებს. აჭარის მშრომელთა დელეგაციამ გვირგვინებით შეამკო გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმი და განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის დიდებული მონუმენტის ყარაულხმარი.

აჭარის ასსრ დელეგაციის წევრები, რომელსაც მეთაურობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, მიიღო ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტანიშევმა.

დელეგაციის წევრები მიიღეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სსრ კავშირის საელჩოში.

საბჭოთა აჭარის დღეები ბლაგოევგრადის ოლქში გადაიქცა ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ჭაფიერ დემონსტრაციად.

ს. ᲑᲔᲚᲡᲘᲐ,

(საქინფორმის სპეც. კორ.).